

მადვალბანელო მონეფუენე

Muslim




საქართველოს მემკვიდრეობის მემკვიდრეობა

სურა მუმიუნ-ი (მორწმუნენი) წმინდა ყურანის 23-ე სურაა. გარდმოვლენილია მექაში. შედგება 118 აიათისაგან. კერძოდ პირველ აიათებში გადარჩენილი მორწმუნეების ღვთისმსახურების, ზნეობრივი ცხოვრებისა და საიქიოში მათთვის საზიარებელი სიკეთეების შესახებ არის საუბარი, ამიტომაც ამ სურას „აღ-მუმიუნ“ ანუ „მორწმუნენი“ ეწოდა. ერთ-ერთ წმინდა ჰადისში წმინდა მუჰამედ ﷺ შუამავალმა (აღლაჰმა დალოცოს და მიესალმოს) ამ აიათების გარდმოვლინების შემდეგ წარმოსთქვა: „მე გარდმომევლინა ათი აიათი, ვინც თავისი მდგომარეობით მათ პირობებს დააკმაყოფილებს, სამოთხეში შევა“, - თქვა და ამ სურის პირველი ათი აიათი წაიკითხა.

რაჰმანი და რაჰიმი აღლაჰის სახელით

1-11: „უეჭველად, გადარჩენილ არიან მორწმუნენი, რომელნიც მოკრძალებულ არიან თავისსავ ნამაზებში, რომელნიც მომრიდენი არიან ცუდი სიტყვაობისა, რომელნიც ზექათს იხდიან, რომელნიც იოკებენ თავიანთ ასოთ-სარცხვინებლებსა¹, თავიანთსავე მეუდღეთა და იმ(მხევალ)ათ² გამოკლებით, ვისდამიც რო მფლობელ არს მათი მარჯვენა, - რამეთუ, ისინი (ამის გამო) არ გაიმტყუნებიან. ხოლო ვინც ამა(ზღვარდადებულ)ზედ გადასცდომას მოიწადინებს, - ისინი კი ზღვარგადასულნი არიან. და რომელნიც (პირობა-გაუტყხელად) იცავენ მათზედ მინდობილ-მიბარებულსა და (პირობად) აღთქმულსა, და რომელნიც (დრო-ზუსტად) იცავენ თავიანთ ნამაზებს. აი ესენი არიან იგი მემკვიდრენი, რომელნიც (სამოთხე) ფირდევსს დაიმკვიდრებენ. იმა(ფირდევს)ში დარჩებიან, ისინი, სამარადისოდ.“



განმარტებანი: 1. აქ შესაძლოა ორგვარი რამ იგულისხმებოდეს. პირველი არის საკუთარი სხეულის საფარავი ადგილების დაფარვა. ე.ი. არ მოიშიშვლებს და საფარავად განკუთვნილ ორგანოებს სხეულის წინაშე არ გამოაჩენს. მეორე მნიშვნელობა კი არის ნამუსის დაცვა, სქესობრივი მოთხოვნილებების მოთოკვა და გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევა, რელიგიურად ნებადართულ საზღვრებში დარჩენა. 2. იგულისხმება ომში ტყვედ ჩავარდნილი და მკურთხან ურთიერთგაცვლის საშუალების არარსებობის გამო ისლამური სახელმწიფოს მიერ ვინმესთვის ჯარივს-მხევალის სახით მიცემული ქალები.

12-16. ვფიციავ, ადამიანი წმინდა თიხა-მიწისაგან შევკქმენით, მას აქეთ ვათავსყალიბებთ მას თესლწვეთად, საიმედო ალაგას. თესლწვეთისგან ვაჩენთ სისხლდედოს და სისხლდედოსგან ვჰყავებთ ხორცნაფცქვენს, და ვჰყავებთ ხორცნაფცქვენითგან ძელებსა, და ვჰმოსავთ ძელებს ხორცით, შემდეგ ვამუღავნებთ მას სხვა ქმნილებად³, -დალოცვილ არს ალლაჰი! – შემოქმედთა შორის საუკეთესო შემოქმედი! შემდგომ (ყველაფერ) ამისა, უეჭველად, მოკვდებით. (ყიამეთის) (სააღდგომო) განკითხვის დღეს, კვლავადლოცვლებულ იქნებით.


განმარტებანი: 3. ცხოველების გაჩენისასაც თითქმის იგივე პროცესს აქვს ადგილი. მაგრამ მიუხედავად ამისა ადამიანები ბუნებით ცხოველებისგან განსხვავებული არიან.





17-20. `ვჭვიცავ, გავაჩინევით თქვენს ზემოთ შვიდნი გზანი⁴ და არ ვყოფილვართ გაჩენისადმი უვიცნი⁵. და, ვავლენთ ზეციდან წყალს შეთანაზომიერებულ ოდენობითა და (და)ვანარჩუნებთ მას დედამიწასში ზედა. და, ჩვენ, უექველად, მისი (უკან) წარჰგვრაც კი უთუოდ ძალგვიძს. და, ვაღცენებთ (ვალორძინებთ) იმ(წყალ)ით თქვენთვის ჰინდის ხურმის ბაღ(ნარ)ებსა და ყურძნეულსა; – თქვენთვის არის იქა უხვმრავალი ნაყოფი და მათ სჭამთ თქვენა, – და, (ვაღცენებთ, აგრეთვე) ხე(მცენარ)ეებსა⁶, რომელიც ღცენდება (და ხარობს) სინას მთით და რომელიც იძლევა ზეთსა და (ხილ–წვენად) დასაყოლებელს, მჭამელთათვის~.

განმარტებანი: 4. ალბათ აქ იგულისხმება ვარსკვლავების სამოძრაო ორბიტა. ვინაიდან მაშინდელი ადამიანებისთვის მხოლოდ ცნობილი იყო შვიდი პლანეტის არსებობა. ამიტომ შვიდ გზაზეა საუბარი. ეს არ ნიშნავს, რომ ამის გარდა სხვა გზები არ არსებობს. 5. ამ გამოთქმის სხვაგვარი მნიშვნელობა ასე შეიძლება იყოს: „ჩვენ არ ვყოფილვართ ჩვენს მიერ გაჩენილთა უცოდინარი“, ან „.....არ ვართ უცოდინარი“. პირველი მნიშვნელობის მიხედვით გამოთქმა ასე შეიძლება გავიგოთ: „ჩვენ ყველა ესენი უგეგმოდ, უპროექტოდ-უპროგრამოდ, გამოუცდელივით არ გაგვიჩენია. პირიქით, ყველაფერი გავაჩინეთ ცოდნაზე დამყარებული გარკვეული გეგმის მიხედვით. ყველაფერი დაგუქვემდებარეთ გარკვეულ წესებსა და კანონებს. ყველაზე უმცირესიდან უდიდესის ჩათვლით, ყველაფერი ამ სამყაროს წესრიგში საუკეთესო ჰარმონიაშია ერთმანეთთან შეწყობილი. თავად ეს ჰარმონია მიუთითებს იმაზე, რომ არსებობს სამყაროს წესრიგის უზრუნველმყოფელი, სასწაულმოქმედებაზე და ცოდნაზე დამყარებული ძალა და ამ ძალას მთელი წესრიგი, სისტემა გარკვეული მიზნისათვის აქვს გაჩენილი. მეორენაირად ეს გამოთქმა ასე შეიძლება გავიგოთ: „ჩვენ, ჩვენს გაჩენილთა საჭიროებებისა და მათს მდგომარეობათა მიმართ არასოდეს არ ვართ უცოდინარი“. ე.ი. „ჩვენს გაჩენილთაგან არცერთისთვის არ მიგვიცია ჩვენთვის გაურკვეველი მოქმედების უფლება. რა მიზნისათვისაც გაგვიჩენია, ის მხოლოდ იმ თავის სფეროშია უფლებამოსილი, მის ბუნებაში არსებულ დავალებას ასრულებს და ამ ფარგლებს ვერ გასცდება. ყველაფერს თავისი ბუნებრივი მოთხოვნილებები უნაკლოდ ვუბოძეთ. არცერთი მოღვეკულა და არცერთი ფოთოლი ჩვენი კონტროლის გარეთ არ არსებობს“. 6. აქ იგულისხმება ზეთისხილის ხე. ეს ხე ხარობს ხმელთაშუა ზღვის რეგიონში და მისი ნაყოფი რეგიონის ყველაზე მნიშვნელოვანი პროდუქტია. მისი სინას მთასთან დაკავშირების მიზეზი სავარაუდოდ, იმით აიხსნება, რომ ეს რეგიონი ძალიან სახელგანთქმულია და ამასთანავე ამ ხის სამშობლოცაა.



21-22. `და, პირუტყვებშიაც არის, უეჭველად, (რამ) სათქვენისო ჭკუასასწავლი: ჩვენ გარწყულებთ თქვენა, იმ(რძე)ითა, რაც რომ, (მუცლად), მათს შიგნეულშია და, იმა(პირუტყვ)ში თქვენთვის მრავალი (სხვა) სასარგებლოც არის და მათი(ხორცი)თ (სჭამთ და) იკვებებით თქვენა, და მათით (ხმელეთზედ) და (ზღვაზედ კიდევ) ხომალდებით გადაადგილნაცვლდებით`.

23-29. `და, ვგიცავ, მოვუვლინეთ ნუჰი (ნოე) მის ხალხს და (ნუჰ–ნოე) მან უთხრა: „ჰეი, ხალხნო, ჩემო! თაყვანი ეცით ალლაჰს, არ არს თქვენთვის სხვა ღმერთი მის მეტა, – ნუთუ (ალლაჰისა) არღა გეშინიანთ?“

და მაშინ, მის ხალხთაგან წინაკაცებმა, რომელთაც არა სწამდათ, სთქვეს: „არა არს რამ, სხვა, ესა, თუ არ თქვენნაირივე ადამიანი. მას სურს, რომ თქვენზე აღმატებულ გახდეს. არა და, (შუამავლის მოვლინება) ალლაჰს რომ ენებებინა, (შუამავლად) უთუოდ მელაიქს, (ანგელოზს) მოავლინებდა. მაგის (მაგვარი) არაფერი გვსმენია წინაპართა ჩვენთა მამა–პაპათაგან.

არა არს რამ იგი, სხვა, თუ არა კაცი, იგი (შეპყრობილი) სიგიჟითა, დააცადეთ მაგას, ერ–დრომდინა...“



(ნუჰ–ნოე) მან (შევედრებით) სთქვა: „ღმერთო ჩემო! მომეხმარევი მე, მასზედ (რომ) ცრუმატყუარად რო მთვლიან მე!“

და, მაშინ, ჩვენ მას შთავაგონევით: „გააკეთე გემი (კიდობანი), ჩვენდა თვალ და თვალ და ჩვენსავე შთავგონებისაებრ. და ოდეს მოვა ჩვენი ბრძანება და (საორთქლე) ქვაბი ადუღდება, აღიყვანევი იმა(კიდობან)სშია ზედან ყოველ(ცხოველ)თაგან (სქესით) წყვილ–წყვილნი და შენი ოჯახეულობა მათგან იმათ გამოკლებით, ვისდამიც ჩემმიერი (განჩინების) სიტყვა წინსწრებულა. და ნუ მომმართავ მე იმათ შესახებ, რომელნიც უსამართლონი იყვნენ, რამეთუ, ისინი, უეჭველად, დახრჩობილ იქნებიან!

და, ოდეს აღთავსდები გემსშია (კიდობანსშია)ზედ შენა, და შენს ერთად რომ არიან ისინიცა, მაშინ კი ჰსთქვი: „ქება–დიდება ალლაჰს, რომელმან(ც) გვიხსნა უსამართლო ხალხისგანა!“

აგრეთვეც და, ჰსთქვი: „ღმერთო, ჩემო! ჩამომახდუნევი მე დალოცვილ–(კეთილ)ბარაქოვანსა ალაგ(ჩამოსახდუნებელ)სა რამეთუ, შენ ხარ საუკეთესო დამსახლ(კარ)ებელი, დამსახლ(კარ)ებელთა შორის!“

30. `უეჭველად, ამა(ამბავ)ში სასწაულნია, უთუოდ, ჰო – და, უთუოდვე ვსცდით (ყმა–მსახურებსა)!`

31-41. `შემდეგ, წარმოვჰშვით, მათ მერე, სხვა თაობა.

და, მოვაგლინევით მათდამი, თვით მათგანვე (ჩვენ მიერ არჩეული), შუამავალი (რომელიც უქადაგებდა): „თაყვანი ეცით ალლაჰს, არ არს თქვენთვის ღმერთი, მის მეტა. ნუთუ (ალლაჰისა) არღა გეშინიანთ?“

და, მის ხალხთაგან წინაკაცებმა, რომელთაც არა სწამდათ და სიცრუედ სთვლიდნენ იმქვეყნად (ღვთის წინაშე) წარსდგომას და რომელთაც ამქვეყნად სიკეთე–დოვლათიანობით ტკბობა ვარგუნევით, – თქვეს: „არა არს არც რამ, ესა სხვა, თუ არ თქვენნაირივე ადამიანი, – იმასა სჭამს, რასაც თქვენა სჭამთ და იმას სვამს თქვენვე რასაც სვამთ.



და თუ მორჩილევებით თქვენა თქვენნაირსავე ადამიანს, – უეჭველად, თქვენ მაშინ უსათუოდ წაგებულნი იქნებით.

ნუთუ იმას გპირდება თქვენა, რომ როცა თქვენ მოკვდებით და მიწამტვრად და ძვლებად იქცევით, – თქვენვე (კვლავ) აღმოყვანილ იქნებით?

რა შორსაა (სინამდვილიდან), რა შორს, რაც თქვენდამი შეპირებულა!..

არ არს (სხვა სიცოცხლე), – ამქვეყნიური ჩვენი სიცოცხლის მეტა; ჩვენ ვკვდებით და (სიკვდილამდეც) ვცოცხლობთ და (ერთხელ სიკვდილის შემდეგ) არც (კვლავ) აღცოცხლებულ არ ვიქნებით.

არა არს იგი არც რამ (შუამავალი), – ადამიანის მეტა, რომელიც სიცრუეს ცილად სწამებს ალლაჰსა, ჰო – და, არ გვწამს ჩვენ მისი.“

(შუამავალ) მან (დადალით) წარჰსთქვა: „ღმერთო, ჩემო! მომეხმარევი მე, მასზედ, (რომ), ცრუმატყუარად რო მთვლიან მე!“

(ალლაჰ)მან ბრძანა: „უთუოდ, სულ მალე ინანებენ.“

და შეიპყრო იგი (ურწმუნო)ნი, ჭეშმარიტად, ხმამან, შემზარავმან და ვჰყავით იგი(ურწმუნო)ნი ნაგავუსახურ ნანიაღვრევადა. შორსამც (მომსპარ) ყოფილიყონ უსამართლო ხალხი!~

42-44. `შემდეგ, მათდა შემდგომად, წარმოვშვით სხვა თაობები.

ვერც ერთი ხალხი წინავერწასწევს თავიანთს ვადააღსასრულსა და ვერც შეაყოვნებენ ისინი (იმა(აღსასრულ)სა)!

მასკან, ზედიზედ (ერთიმეორის მიყოლებით) მოვავლინევით ჩვენი შუამავალნი. ყოველთვის, როცა კი რომელიმე ხალხთან მათი შუამავალი მოსულა, მათ ცრუმატყუარად ჩაუთვლიათ იგი. ჰო – და, ჩვენ ერთიმეორეს (კვალში) გავუყენევით (მომსპარნი) და (საერთიმეორო საიგავო) ლეგენდა – გადმოცემებად ვაქციეთ ისინი. შორსამც (მომსპარ) ყოფილიყონ, ურწმუნო ხალხი!~



45-49. შემდეგ მოვავლინებთ მუსა (მოსე) და მისი ძმა ჰარუნი (აარონი) ჩვენი (სასწაულებრივი) აიათებითურთ და (ჩვენმიერი უფლებამოსილების) ცხადი მამტკიცებლით

ფარაონისა და მისი (სამეფოს) წინაკაცებისადმი, მაგრამ ისინი გამედიდურდნენ, რამეთუც(ა) და, გულამპარტავანი ხალხი გამოდგნენ ჰო – და, სთქვეს: „ვირწმუნებთ, განა, ორიოდ ჩვენნაირი ადამიანისას, მაშინ როცა მათი ხალხიც კი ჩვენ მონა–გვმსახურებენ?“

და, ცრუმატყუარებად შეჰრაცხეს იგი(ორთავე)ნი, ჰო – და, (ფარაონი და მისი ხალხი) მოსპობილთა რიცხვში აღმოჩნდნენ...

და, ვვიცავ, ვუბოძევით მუსას (მოსას) წიგნი (თორა), – რათა, ეგება, იგი(ისრაელიან)ნი სწორჭეშმარიტ გზას დასდგომოდნენ!~

50. `და, ვჰყავით მერიემის (მარიამის) – მე და დედა, იმისი, – სასწაულად (ადამიანთათვის) და ის(ორთავე)ენი საცხოვრებლად შევაყუდრევით გორაკადგილსა, საცხოვრებლად მყუდროსა–იმედოსა და წყაროწყალიანსა.~

51-52. `ჰეი, შუამავალნო! სჭამეთ სუფთა–აღლალეული და კეთილი იღვაწევით. უეჭველად, მე ვუწყი, რასაც აკეთებთ!

და, უეჭველად, ეს არს რელიგია თქვენი – რელიგია ერთადერთი და მე ვარ ღმერთი თქვენი. ჰო – და, ჩემი გეშინოდეთ!~

53-54. `იმათ კი, (ჯგუფებად დაიყვნენ და) დაჰყვეს თავიანთი (სარელიგო) საქმე ერთურთს შორის, (რელიგიურ) ნაწილებათა, ჰო – და, ყოველი ჯგუფი ჰხარობენ იმითი, რაც (რო) მათა აქვთ. დაე, დატოვე ისინი თავიანთ (შე)ცდომილების მორევში, – (დათქმულ) დროჟამამდისა~.



55-67. `ნუთუ ჰგონიათ, რომ სიმდიდრე-ქონებეულსა და ვაჟიშვილებს რო ვსძენთ, ამით

სიკეთეს ვესწრაფვით, მათსას? არა! არა – და, ვერ კი გაუგიათ!

უეჭველად, ისინი, რომელნიც თავიანთი ღმერთის (მიმართ) შიშით განმსჭვალულნი სთრთიან, და რომელთაცვე თავიანთი ღმერთის (სასწაულებრივი) აიათები სწამთ, და რომელნიცავე თავიანთ ღმერთს თანამოზიარეებს არ უჩენენ, და რომელნიც გასცემენ იმა(ზექათ-სამოწყალო)ს, რასაც გასცემენ, – უთრთით რა გულნი მათნი, (ღვთის შიშით) განმსჭვალულნი, რომ ისინი (ბოლოს) თავიანთსავე ღმერთთან იქნებიან დაბრუნებულ, –

აი, ისინი ესწრაფვიან კეთილ საქმეთა ღვაწებას და უფრორე ისინი კიდევაც მეწინავეობენ ამაში. და, არ ვაკისრებთ არცერთ სულს, (რამ სხვას), თუ არ იმასა, რაც მას ძალუმს. და ჩვენ წინვეა (მათთა ნაკეთებ საქმეთა) წიგნი⁷, რომელიც ჭეშმარიტებას ამბობს. და ისინი უსამართლოდ მოპყრობილ არ იქნებიან.

არა და, გულნი მათნი ამ(ყურან)ისადმი შეცდომილებაშია და აქვთ მათ ამის გარდა სხვა (უარესი) საქმენიცა, რომელსაც ისინი სჩადიან, (მანამ) სანამ მათ, სიამწყალობაში მყოფთ, სასჯელით შევიპყრობდეთ... (და როცა შევიპყრობთ კიდევაც,) მაშინ კი მოჰყვებიან გოდებით მოთქმასა. (მაგრამ, მათ ეტყვიან:) „აწ, დღეს ნულა ჰგოდებთ, ამაო მოთქმითა, – უეჭველად, ჩვენგან თქვენ დახმარებას ვერ მიიღებთ! როცა ჩემს (სასწაულებრივ) აიათებს გიკითხავდნენ, თქვენ უკუპბრუნებულბდით რა, თქვენსავ ქუსლებზედ, – გაყოყობებულნი, ღამ-ღამობით (ქაბეს ირგვლივ) თავმოყრილნი უაზროდ მიეთმოეთობდით იმ(ყურანისა და შუამავლ)ისადმი!~

განმარტებანი:

7. ე.ი. ყოველი ადამიანის ყოველი მოქმედების აღმწერი რეგული.

68-71. `ნუთუ არ ჩაჰფიქრებიან ამა სიტყვა(ყურან)სა? ანთუ მათ ის მოევლინათ, რაც მათ პირველწინაპრ მამა-პაპებს არ მოჰვლენიათ?


ანთუ ვერ იცნეს თავიანთი შუამავალი და იმიტომ უარჰყოფენ მას?

ან ამბობენ, მასზე, რომ – „გიჟია“-ო? არა – და, იგი მათთან მოვიდა ჭეშმარიტებითურთ, მათი უმრავლესობა კი (სწორედ) ჭეშმარიტების არმომწონენი არიან.

და, ჭეშმარიტება იმათ ვნება-სურვილებს რომ აჰყოლოდა, მაშინ უთუოდ აირეოდა ცანი და დედამიწა და ვინცა-რაც არის იმ(ცათასა და დედამიწ)ასში (იგინიცა). არა – და, ჩვენ ვუბოძევით მათ შეხსენება (ყურანი), მაგრამ ისინი თავიანთსავე შეხსენებისაგან ზურგს-იქცევენ~.

72-74. `ან, თუ, სარგო-სამაგივროს სთხოვ (მუჰამმედ), შენა, მათ? სამაგივრო-სარგო შენი ღმერთისეული უმჯობესია, და, – იგი(ღმერთი)ა (სარჩო-საბადებლის)მბოძებელთა შორის (მო)მბოძებელი საუკეთესო! და, უეჭველად, შენ მათ (მო)უხმობ სწორი გზისაკენ. და, უეჭველადვე, ისინი, რომელთაცა რო არ სწამთ იმქვეყნიურობა, – უთუოდ უხვევენ იმ(სწორი) გზიდან!~

75-77. `და რომც კი შეგვეწყალებინა ისინი და განგვერიდებინა თავიანთსავე (შემაჭირვებელ) განსაცდელისგან, ისინი კვლავაც ჯიუტად გააგრძელებდნენ თავიანთ ზღვარგადასულობაში ბრმად ყიალს. და, ვჰვიცავ, შევიპყართ ისინი (საზარელი) სასჯელით, მაგრამ მაინც მორჩილ არ ეყვნენ თავიანთ ღმერთსა და (შველას) არკი შეევედრნენ. და, როდესაცდა რო გავადევით მათდამი კარი, უსასტიკესი სასჯელისა, აჰა, ისინი იქა, – სასოწარკვეთილნი!..~





78-83. `და, იგი(ალლაჰი) არს, რომელმანც ჰყო თქვენთვის ყურთასმენა, თვალთმხედველობა და გულნი; (თქვენ კი) რა ცოტაოდენ ჰმადლიერობთ! და, იგი(ალლაჰი)ა, რომელმანც გაგაჩინ–განგავრცოთ მთელს დედამიწაზედ და (ბოლოს) მასთანვე შეკრებილ იქნებით. და, იგი (ალლაჰი) არს, რომელიც აცოცხლებს და აკვდინებს, და მასვე ეკუთვნის მონაცვლეობა ღამისა და დღისა; ნუთუ ვერღა უნდა შთაჰხვდეთ?! არა – და, ისინიც იმასვე ამბობენ, რასაც ამბობდნენ პირველ(წინაპარ)ნი. ამბობენ: „ნუთუ მოვჰკვდებით ოდესცა და მიწამტვრათა და ძვლებიღა ვიქნებით, ნუთუ ვითომ დასტურ კვლავ აღცოცხლებულ (აღდგომილ) ვიქნებით? ვფიცავთ, ამასვე შეპირებულ ჰგვეყვეს ჩვენა და ჩვენი მამა–პაპანიცა, ადრე... სხვა არა არს რა ესა, თუ არა (მხოლოდ) წინაპართა ლეგენდები!“

84-92. `უთხარი (მუჰამმედ): „ვის ეკუთვნიან დედამიწა და ვინც მასშია ზედ არის, – თუ იცით, თქვენა?“ ისინი იტყვიან: „ალლაჰს (ეკუთვნიანო).“ უთხარი (მუჰამმედ): „ნუთუ ვერღა უფიქრდებით?“ უთხარი (მუჰამმედ): „ვინ არის უფალიღმერთი შვიდგა ზეცისა და ღმერთიუფალი უზესთაესის არშტახტ(რვენ)ისა?“ ისინი იტყვიან: „ალლაჰია!“

უთხარი (მუჰამმედ): „ნუთუ (მისი) არღა გეშინიანთ?..“ უთხარი (მუჰამმედ): „ვინაა იგი, ხელთ ვისთაც რო არს მეუფება ყველასფრისადმი და თვითონ ჰმფარველობს, თვისდამი კი არ იმფარვებლვის? თუ იცით თქვენა?“ ისინი იტყვიან: „ალლაჰია!“ უთხარი (მუჰამმედ): „მაშ, რავარღა ჰჯადოვდებით!“ დიალ!.. ჩვენ მოვუვლინევით მათ ჭეშმარიტება, ისინი კი, უეჭველად, ცრუმატყუარანი⁹ არიან! არა (აჩენილ) ჰყავს ალლაჰს არც არავინი მე-შვილი¹⁰ და არა ყოფილ არს მასთანვე თანა არც არავინი ღვთაებათანი... თორემ... ყოველი ღმერთი (მისეული გზით) წაიყვანდა მას, რაც (მასვე) გაუჩენია და უთუოდაც ზოგი იმათგანი ზოგსავე იმათგანზედ აღმატებულ იქნებოდნენ. უბიწო არს, ალლაჰი (დიდება მასა), აშოროსმცა ის რა თვისებასაც (ისინი) აწერენ იმა(ალლაჰ)სა, მცოდინარსა ფარულ-უხილავისაცა და აშკარა-ხილულისაცა; იგი უზესთაეს არს მასზე, რასაც რომ მას თანამოზიარებად უჩენენ!~

განმარტებანი: 9. ისინი ცრუმატყუარები არიან. რადგან მათი პრეტენზიები მათივე მატყუარობას ადასტურებს. მაგალითად, ისინი უარყოფენ სიკვდილის შემდეგ ხელმეორედ გაცოცხლებას. აგრეთვე, ცალმხრივად სამყაროს, დედამიწისა და ცათა უფალსა და მბრძანებელ ალლაჰს აღიარებენ, მეორეს მხრივ კი სხვა ღმერთებსაც აღიარებენ. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ისინი აშკარად ურთიერთსაწინააღმდეგო მდგომარეობაში იმყოფებიან. აქედან გამომდინარე ამ ჭეშმარიტებას უარყოფენ და კერპთაყვანისმცემელი ხდებიან, უარყოფენ საიქიოს, რითაც თავიანთ მატყუარობას ამტკიცებენ. 10. ეს ყველა კერპთაყვანისმცემლები-სა და სხვა მცდარ რწმენაზე მყოფებს მიანიშნებს, რომ მცდარ გზას აღვანან და ცხად ცდომილებაში იმყოფებიან.


93-95. `სთქვი (მუჰამმედ): „ღმერთო, ჩემო! უკეთუ უნდა მახილვებინო მე იგი (სასჯელნი), რა(სასჯელ)იც იმა(კერპთაყვანისმცემელ)თადმია შეპირმუჟრებულ, ნუ მამყოფებ მაინცა, ჩემო ღმერთო, უსამართლო ხალხს შორისა!“¹¹ და, უეჭველად ძალგვიძს კია, უთუოდ, (მუჰამმედ), რომ გახილვებინოთ, შენა ის, რასაც რომ ვჰპირდებით.~

96-98. `მიაგე მათ კეთილი, ბოროტებისა წილ; ჩვენ უფრო უკეთ ვუწყით, რასაც იგი(კერპთაყვანისმცემელ)ნი აღჰხატავენ. და სთქვი, (მუჰამმედ): „ღმერთო, ჩემო! შენ შეგეფარვი შეითნების (სატანათა) ცდუნებათაგან, და, შეგეფარვი შენა, ჩემო ღმერთო, რათა ვერამც მომეახლონ იგი(შეითან)ნი მე!“

99-115. `ეწვევა რა, სიკვდილი, ერთ რომელიმე იმა(კერპთაყვანისმცემელ)თაგანს, – (იგი) იტყვის: „ღმერთო, ჩემო! დამაბრუნევი მე (ამქვეყნიურ სიცოცხლეში): რათა, ეგება, ვიღვაწო კეთილი საქმენი, იმა(ამქვეყნიურობა)სში, რაიც რომ დავჰსტოვე...“ არამც და არა! (ფუჰი) სიტყვაა, უეჭველად, იგი, რასაც რომ ის ამბობს... მათ უკან (აღმართულ) არს კი ზღუდე¹² იმ დღემდისინა, ოდეს იგინი ხელმეორედ აღცოცხლებულ (აღდგომილ) იქნებოდნენ. და, ოდეს სურაში ჩაჰბერავენ (ბუკსაყვირს დაჰსცემენ), არღა იქნება იმ დღეს მათ შორის ნათესაობა და ვერცღა ვერ (ერთმანეთს) (ურთიერთ)მიმოიკითხვენ.

განმარტებანი:

11. დიდება აღლაჰს. წმინდა მუჰამმედ ﷺ შუამავლისადმი დასჯის განხორციელების საფრთხე არ არსებობს. წმინდა მუჰამმედ ﷺ შუამავალს ვედრებაც რომ არ ადევლინა, მაინც არ დაისჯებოდა. ამ ფრაზის მიზეზი იმის მინიშნებაა, თუ რაოდენ საშინელია აღლაჰის სასჯელი. რადგან აღლაჰის სასჯელისაგან უნდა ეშინოდეს არა მარტო ცოდვილს, არამედ ერთგულ მსახურსაც. 12. ამ აიათიდან ცნობილი ხდება, რომ მათი ამქვეყნად უკან დაბრუნების აღსაკვეთად მათ უკან ზღუდეა აღმართული. ისინი განკითხვის დღემდე სააქოსა და საიქიოს შორის იქნებიან.



და, ვისიც სასწორ(ანაწონ)ნიც (მადლით) დამძიმებულ იქნება, – ისინი გადარჩენილ(ზედნიერ)ნი არიან. ხოლო, ვისი სასწორ(ანაწონ)ნიც (მადლით) და(მსუბუქ)მჩატე–ბულ იქნება, – ეს სწორედ ისინი არიან, ვისაც სულთა თვისთათვის უვნიათ და ჯეჰენნემში (ჯოჯობეთში) შთაპრჩებიან, სამუდამოდა. (ჯეჰენნემის–ჯოჯობეთის) ცეცხლი გამოჰხრუკავს პირისახეებს იმათსას და იქნებიან იმა(ცეცხლ)ში, ისინი, ასე, (ტანჯვა–ტკივილისგან) სახედამეჭილები. (და, მათ ეტყვიან:) „განა არ გეკითხებოდათ ჩემი (სასწაულებრივი) აიათები თქვენა, მაგრამ (განა) სიცრუედ არა სთვლიდით თქვენ იმა(აიათ)ებსა? ისინი კი იტყვიან: „ღმერთო, ჩვენო! ვიძლივინით ჩვენა (ჩვენდა საუბედუროდ) ჩვენივე ზღვარგადასულობითა და ჩვენ ვიქეცით გზააცდენილ ხალხად. ღმერთო, ჩვენო! გაგვიყვანე ამ(ცეცხლ)იდან და თუკი კვლავ ზღვარგადამეტებლობას) დავუბრუნდეთ, მაშინ (ეგაა და) უეჭველადაც რომ უსამართლონი ვყოფილვართ.“ (ალლაჰი) ეტყვის: „შთაეყარენით იმა(ჯეჰენნემ–ჯოჯობეთ)სშია და ნულა მელაპარაკებით! (რამეთუ), ოდეს ჩემთა ყმა–მსახურთაგან ზოგი(ერთი) ნაწილი, უეჭველად, ამბობდა: „ღმერთო, ჩვენო! ჩვენ უკვე ვირწმუნეთ, ჰო – და, შეგვიხდეს (ცოდებები) ჩვენა და შეგვიწყალე, რამეთუ, შენა ხარ საუკეთესო (შემწყალებელი) შემწყალებელთა შორის.“ – თქვენ მასხრად იგდებდით მათ და თანაც ისე იმდენეთად (იგდებდით მასხრად), რომ ამ(მასხრადამგდებლობამ)ან ჩემი ხსენება დაგავიწყათ, ჰო – და, თქვენ დასცინოდით, კიდევცა იმა(ჩემს ყმა–მსახურ)ებს. დღეს კი (ჯილდო–სამაგიეროს) ვუზღავ უეჭველად, მათ, იმის გამო, რაც რომ (მო)ითმინეს, და ამ(მოთმინებ)ით, უეჭველადვე, აწ უკვე უაღრესად მოგებულ(გადარჩენილ)ნიც არიან. (ალლაჰი) ეტყვის (ურწმუნოებსა): „რამდენ წელიწადს დაჰყავით, სათვალავით, დედამიწაზე? იგი(ურწმუნო)ნი ეტყვიან: „დავჰყავით ერთიოდ დღე ან დღის (რალაც) ნაწილი, გირჩევნია, ჰკითხე (დრო–ჟამის, წელთა ჰდმრიცხველ) (და) მთვლელებსა.“ (ალლაჰი) ეტყვის: „არ დაგიყვიათ (არც არაფერი ხანი), თუ არ სულ ცოტაოდენ(ხან)ისა, – თქვენ რო იცოდეთ! ნუთუ გეგონათ, რომ, უბრალოდ, ისე თითქო, (ტყუილუბრალოდ,) სასხვათაშორისოდ გაგაჩინევით თქვენა და ჩვენთანვე დაბრუნებულ არ იქნებოდით?!“



116-117. `დიდ არს, და, ალლაჰი, – მეუფე, ჭემმარიტი, – არა არს ღმერთი, გარდა მისისა, – ღმერთისა, კურთხეულის არშტახტ(რევან)ისა! და, ვინც რო თანა ერთად ალლაჰთანა სხვა ღვთაებებს ევედრება¹³, – არ გააჩნია რამ საბუთ–სამტკიცი, სამისოი, და, უეჭველად ანგარიშგებაც მისი (საბოლოოდ) მხოლოდ მისსავე ღმერთთანაა! უეჭველად, ურწმუნოები ვერ გადარჩებიან!~

118. `მაშ, სთქვი (მუჰამმედ): „ღმერთო, ჩემო! შემინდე და შემიწყალე! რამეთუ, შენა ხარ საუკეთესო (შემწყალებელი,) შემწყალებელთა შორის!~



განმარტებანი: 13. მეორე მნიშვნელობა ასეთი შეიძლება იყოს: „მათ, ვინც ალლაჰის გარდა სხვა ღმერთებს ეთაყვანება, ამისათვის საბუთ-სამტკიცი არ გააჩნიათ.

✠ არაბულად ეს სიმბოლო ნიშნავს - ალლაჰი დალოცავს და მიესალმება მას.

muslim georgia

MUSLIM GEORGIA ASSOCIATION OF AMERICA
INTERNATIONAL CHARITY



კულტურული მომსახურება,
ეს გამომცემლობა ეკუთვნის შპს. Inkilab-ის გამომცემლობას